

28 – 30 ნომბერი, 2018  
თბილისი, საქართველო

# ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები საქართველოსთვის

მე-2 ეროვნული სამუშაო შეხვედრის  
ანგარიში

პროექტის ეროვნული კონსულტანტი: გიგია ალექსიძე  
სასტუმრო კოპალა, თბილისი, საქართველო

## სარჩევი

აბრევიატურა.....	3
1. შესავალი.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
1.1. კ&ი შემუშავების პროცესი საქართველოში.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
2. სამუშაო შეხვედრის სტრუქტურა.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
3. საწყისი ინფორმაციის შეჯამება, განმარტებები, პროცესები, კ&ი დაკავშირებული გამოწვევები და უპირატესობა .....	7
4. სამუშაო ჯგუფის შედეგები თანმიმდევრობასა და პრიორიტეტიზაციაზე.....	8
5. სამუშაო ჯგუფის შედეგები საინფორმაციო ფურცლების შემუშავებასა და მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიაზე .....	12
6. სამუშაო ჯგუფის შედეგები საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის შესახებ ინდიკატორების ნუსხასთან თანმიმდევრობის მიზნით.....	17
7. ინდიკატორების ნუსხაში არსებული ტერმინები, რომლებიც საჭიროებენ განმარტების სრულყოფას .....	18
8. ტყის მდგრადი მართვის კ&ი საბოლოო ნუსხა .....	19
9. სამომავლო ნაბიჯები და შემდგომი საჭიროებების გამოვლენა .....	29
დანართი I. „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების“ მე-2 ეროვნული სამუშაო შეხვედრის დღის წესრიგი.....	30
დანართი II. მონაწილეთა სია .....	32

## List of Abbreviations

APA	დაცული ტერიტორიების სააგენტო
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი
C&I	კრიტერიუმები და ინდიკატორები (კ & ი)
DES	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FE	„ევროპის ტყეები“ (მინისტრთა კონფერენცია ევროპაში ტყეების დაცვის შესახებ)
FIMS	ტყის ინფორმაციისა და მონიტორინგის სისტემა
FLA	ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი
FPD	სატყეო პოლიტიკის სამმართველო
GCS	გლობალური ძირითადი ნუსხა (ტყესთან დაკავშირებული ინდიკატორები)
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GFW	Global Forest Watch
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
HCV	მაღალი კონსერვაციის ღირებულება
IUCN	ბუნების დაცვის საერთაშორისო გაერთიანება
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MEPA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NEAP	გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო გეგმა
NFA	ეროვნული სატყეო სააგენტო
NFC	ეროვნული სატყეო კონცეფცია
NFI	ეროვნული ტყის ინვენტარიზაცია
NFP	ეროვნული სატყეო პროგრამა
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NWFPs	ტყის არამერქნული პროდუქტი
PA	დაცული ტერიტორიები
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SFM	ტყის მდგრადი მართვა
ToS	სპეციალისტების გუნდი
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
UNEP	გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა
UNFF	გაეროს ფორუმი ტყეების შესახებ
WB	მსოფლიო ბანკი
WRI	მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი

## 1. შესავალი

დოკუმენტში წარმოდგენილია „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების“ მე-2 ეროვნული სამუშაო შეხვედრის ანგარიში, რომელიც გაიმართა 2018 წლის 28 – 30 ნოემბერს საქართველოში. გარდა ამისა, იგი ასახავს ეროვნული C&I-ის ნუსხის განვითარების პროცესს და აღწერს სამუშაო შეხვედრის დროს განხორციელებულ ძალისხმევას, მათ შორის სამომავლოდ განსახორციელებელი ნაბიჯების შემუშავებას.

აღნიშნული სამუშაო შეხვედრა წარმოადგენს UNEC/FAO, UNDA-ს პროექტის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხუთი ქვეყნის (სომხეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი) ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერებას ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (C&I for SFM) შემუშავების მიზნით. პროექტი ეფუძნება არსებულ პროცესებსა და გამოცდილებას მონაწილე ქვეყნებში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კონკრეტულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, უზრუნველყოფს ცოდნის, შესაძლებლობების შექმნის, ტრენინგის მასალებსა და საკონსულტაციო მომსახურებას, იმისათვის, რომ, განისაზღვროს ტყის მდგრადი მართვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის გამოვლენა და შესაბამისობა ეროვნულ დონეზე და ხელი შეეწყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკის შემუშავებას. პროექტის ხანგრძლივობაა 2016 წლის ივნისიდან 2019 წლის დეკემბრამდე.

კრიტერიუმები და ინდიკატორები გამოიყენება ეროვნულ დონეზე ტყის სექტორის სტატუსისა და ტენდენციების მონიტორინგისთვის, პარალელურად მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიმართ პროგრესის შეფასებაში.

ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმები და ინდიკატორები წარმოადგენს ინსტრუმენტს გარემოსთან ტყეების მნიშვნელობის კომუნიკაციისთვის, ასევე ეკონომიკასა და საზოგადოებასთან ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

პროექტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ ექსპერტები სახელმწიფო ტყის მართვისა და კანონდარსებების ინსტიტუციები, ტყეებთან დაკავშირებული სამინისტროები, კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციები. გარდა ამისა, ძირითადი პარტნიორები წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციების ან ამ ქვეყნებში უკვე მიმდინარე ინიციატივების სახით.

### 1.1. კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების პროცესი საქართველოში

საქართველოში, ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საჭიროება და პოტენციური აღიარებულია როგორც საჭირო ინსტრუმენტი, ტყეების მართვის ეროვნული მიზნების მიღწევისკენ გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად. ასევე, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება განიხილება როგორც დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სატყეო სექტორის რეფორმის პროცესში, იმისათვის, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ინტერესთა სპექტრის ასახვა და ინკლუზიური სატყეო სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოში, ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების პროცესი დაიწყო 2014 წელს და აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს

ხელშეწყობის და პროცესის გაძლიერების გზით, დაეხმაროს ქვეყანას ყოვლისმომცველი, ეფექტური და ნაყოფიერი ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებაში. საწყის ეტაპზე, C&I-ის ნუსხის შემუშავების პროცესს ეხმარებოდა GIZ IbiS-ის ფარგლებში მოწვეული ექსპერტი გერმანიიდან. ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრა და 2017, 2018 წლებში, ასევე UNECE/FAO, UNDA პროექტის ფარგლებში შემუშავდა ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პრინციპები, ასევე, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხა. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ რამდენიმე სავლე და სამუშაო ვიზიტის შემდეგ მომზადდა ტყის მართვის დონის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების დეტალური ჩამონათვალი, ეკოსისტემებზე დაფუძნებული ტყის მართვის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მხარდასაჭერად.

პირველი ეროვნული სამუშაო შეხვედრა UNECE/FAO, UNDA პროექტის ფარგლებში განხორციელდა 2017 წლის 29 ნოემბერი – 1 დეკემბერს, რომლის ფარგლებშიც საბაზისოდ გამოყენებული იქნა უკვე შემუშავებული შესაბამისი დოკუმენტაცია. მონაწილეების დაყოფა მოხდა სამუშაო ჯგუფებად (სოციალურ-ეკონომიკური; ეკოლოგიური; სატყეო სექტორის მმართველობა) იმისათვის, რომ: მომხდარიყო არსებული მიზანშეწონილი დოკუმენტაციის გამოვლენა C&I-ისთვის; დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და რუკაზე განლაგება მათი როლებისა და ფუნქციების მიხედვით, მათ შორის ტყის მართვის „SWOT“ ანალიზი ტყის მმართველების, კერძო სექტორის / საწარმოების და ტყეზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის პერსპექტივის გათვალისწინებით. მალევე, 2018 წლის 20 - 22 თებერვალს, თბილისში დაიგეგმა რეგიონული სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც პროექტის მონაწილე ქვეყნებს საშუალება ჰქონდათ შედეგები გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის, ასევე, გაეუმჯობესებინათ ტყის მდგრადი მართვის C&I-ის ეროვნული ნუსხები სამუშაო ჯგუფებში, UNECE/FAO-ს ტყის მდგრადი მართვის მონიტორინგის სპეციალისტთა ჯგუფის (ToS) მონაწილეობით. შემუშავდა რეკომენდაციების ნუსხა ადგილობრივი ექსპერტებისა და საერთაშორისო სპეციალისტების თანამშრომლობით, განსაკუთრებით იმ კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მოდიფიკაციის შესახებ, რომელთა განხორციელებაც პრაქტიკულად მიღწევადია ეროვნულ წყაროებზე დაყრდნობით. გამომდინარე იქიდან, რომ უახლესი ტყის მართვის გეგმები ჯერ-ჯერობით საქართველოს ტყის მხოლოდ 13% ფარავს, მიზანშეწონილია მონაცემების შეგროვება და ანალიზი მოხდეს დაგეგმილი ტყის ეროვნული ინვენტარიზაციის (NFI) შედეგებიდან. ეკოლოგიური პრინციპის ქვეშ შემუშავებული ინდიკატორების თითქმის 90%-ის მონიტორინგი, შესაძლებელია განხორციელდეს NFI-ს მონაცემებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, C&I-ის ეროვნული ნუსხა უნდა პასუხობდეს ახალი ტყის კოდექსის მოთხოვნებს და შესაბამის ანგარიშგებას. ახალი ტყის კოდექსში ასევე მოცემულია ტყის კატეგორიზაციის ახალი ტიპები (დაცული ტყე; დამცავი ტყე; საკურორტო და სარეკრეაციო ტყე; სამეურნეო ტყე).

## 2. სამუშაო შეხვედრის სტრუქტურა

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 36-მა ადგილობრივმა და საერთაშორისო სპეციალისტმა სხვადასხვა ორგანიზაციიდან, ტყის მდგრადი მართვის C&I-ის სამომავლო სამუშაოსთვის რეკომენდაციების შემუშავების, დისკუსიისა და გამოცდილების

გაზიარების მიზნით. სამუშაო შეხვედრების ენა იყო ქართული და ინგლისური (თარჯიმნით უზრუნველყოფილი) და ორგანიზებული იყო UNDP საქართველოს ოფისის დახმარებით.

მონაწილე ექსპერტთა ჯგუფებმა იმუშავეს სამი დღის განმავლობაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, მათ შორის ჯგუფური სამუშაოებისა და პრეზენტაციების გამოყენებით. სამუშაო შეხვედრას მოდერაციას უწევდა ქ. ნატო კირვალიძე. შეხვედრა გაიმართა 2018 წლის 28 – 30 ნოემბერს. ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია აქ: <https://www.unece.org/index.php?id=50162>

სამუშაო შეხვედრა ორგანიზებული იქნა UNECE/FAO და UNDA 2016 – 2019 შესაძლებლობების განვითარების პროექტის „ტყის მდგრადი მართვის ანგარიშგების სისტემები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში“. დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე: <http://www.unece.org/forests/areas-of-work/capacity-building/unda2016-2019.html>

მე-2 ეროვნული სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა C&I-ის ნუსხის სამუშაო ვერსიის გადახედვას, რომელიც მუშავდებოდა გასული წლების განმავლობაში. შეხვედრამ საშუალება მისცა ქვეყნის წარმომადგენლებს, რომ, გაეზიარებინათ ადგილობრივი კონსულტაციების შედეგები და ემუშავათ დეტალურად მონაცემთა შეგროვების მეთოდებზე, მართვის სისტემასა და ეროვნული C&I-ის ნუსხის ინსტიტუციონალიზაციის დაგეგმვაზე.

შეხვედრის სტრუქტურა შემუშავდა 6 ერთმანეთთან დაკავშირებული სესიის გათვალისწინებით და მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1. **შესავალი.** მდგრადი ტყის მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ფონური განმარტებების, მიზნის, პროცესების, უპირატესობებისა და გამოწვევების გადახედვა.
2. **გაზიარება და კრიტიკული შეფასება.** ეროვნული C&I ნუსხის შემუშავების პროცესის მიმოხილვა.
3. **თანმიმდევრულობა.** ხარვეზების აღმოფხვრა და C&I ნუსხის თანმიმდევრობის გაუმჯობესება საკანონმდებლო, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ჩარჩოს გათვალისწინებით.
4. **სკრინინგი და პრიორიტეტები.** პრიორიტეტიზაცია და ინდიკატორების მორგება საკანონმდებლო, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ჩარჩოს გათვალისწინებით.
5. **საინფორმაციო ფურცლებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია** დისკუსია მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიაზე, “Forest Europe”-ის საინფორმაციო ფურცლებსა და ანგარიშგებაზე. საინფორმაციო ფურცლების შედგენა და ინდიკატორთა ნუსხისთვის მონაცემთა შეგროვების მეთოდები.
6. **დაგეგმვა.** ეროვნული C&I ნუსხის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა.



### 3. საწყისი ინფორმაციის შეჯამება, განმარტებები, პროცესები, C&I დაკავშირებული გამოწვევები და უპირატესობები

პირველი დღის დილის სესია დაიწყო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლების: ნათია იორდანიშვილის, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილის და ლიანა გიორგაძის, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მისალმებით და გაგრძელდა პროექტის მოკლე მიმოხილვით ტერეზა ლოფლერის, UNECE/FAO ერთობლივი სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის სექციის პროექტის მენეჯერის მიერ. სესია გაგრძელდა შემდეგი პრეზენტაციებით:

#### 1. პროექტის შეჯამება და ანგარიშგება ტყის რესურსების შეფასების (FRA) ფარგლებში

როკსოლანა შელესტმა, UNECE/FAO ერთობლივი სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის სექციის კონსულტანტმა წარმოადგინა დეტალური პრეზენტაცია პროექტისა და ერთობლივი სატყეოსა და ხე-ტყის სექციის სამუშაო არეალის შესახებ. მან ასევე მიმოიხილა ის საქმიანობები, რომელიც განხორციელდა ტყის რესურსების შეფასების გასაუმჯობესებლად, მათ შორის ახალი ვებ პლათფორმის გამოყენებით გლობალური ძირითადი ნუსხის (ტყის ინდიკატორებთან დაკავშირებული) მიხედვით მონაცემთა შეგროვება და მისი გამოყენება მდგრადი განვითარების მიზნების (მიზანი #15. ინდიკატორი 15.1.1 და 15.2.1.) პროგრესის შეფასების მიზნით.

#### 2. შესავალი, სამუშაო შეხვედრის მიზნები, დღის წესრიგი, წესები და ნორმები

პროექტის რეგიონალურმა კონსულტანტმა და სამუშაო შეხვედრის მოდერატორმა, ნატო კირვალიძემ წარმოადგინა პრეზენტაცია შეხვედრის მიზნების, ზოგადი წესებისა და ნორმების, ასევე, მეთოდოლოგიის შესახებ. მან ასევე დეტალურად აუხსნა სამუშაო ჯგუფებს მათი დავალებები და დაეხმარა მონაწილეებს შესაბამისი სამუშაო ჯგუფების ფორმირებაში. პრეზენტაციის სახით, წარმოადგინა ინსტრუქცია დღეების მიხედვით დაგეგმილი სამუშაოს შესახებ.

#### 3. ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძვლები

ესტონეთის, გარემოს სამინისტროდან მოწვეულმა ექსპერტმა, მათი ვალგეპეამ, წარმოადგინა დეტალური პრეზენტაცია ტყის მდგრად მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების შესახებ, განმარტებები, მიზეზები და სარგებელი. მან ისაუბრა ინდიკატორების ხარისხობრივ და რაოდენობრივად გამოხატულ მახასიათებლებზე და მათი გადამოწმების / ვერიფიკაციის შესახებ, მონაცემთა ბრუნვის პირამიდაზე, მათ შორის C&I-ის ინსტრუმენტის გამოყენებით SFM-ის ექსპლუატაციის შესახებ. ასევე, მან მიმოიხილა C&I-ის ინსტრუმენტის გამოყენების სიკეთეები სატყეო პოლიტიკის განვითარების საქმეში.

#### 4. ეროვნული პროცესი ტყის მდგრადი მართვის C&I-ს შესამუშავებლად

სატყეო პოლიტიკის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა ნათია ცხოვრებაძემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ინფორმაცია ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების ეროვნული პროცესის, მიზნებისა და შედეგების შესახებ. მან ასევე ისაუბრა ძირითად პრინციპებსა და ინდიკატორების ნუსხაზე, რომელიც შემუშავდა მიმდინარე პროცესის ფარგლებში.

## 5. მონაცემთა წყაროები და ინფორმაციის მართვის სისტემები ტყის მდგრადი მართის C&I-ისთვის

პოლონეთის ტყის მართვისა და გეოდეზიის ბიუროდან მოწვეულმა მთავარმა ოფიცერმა, ანდჟეი ტალარჩუკმა წარმოადგინა პრეზენტაცია, სადაც მიმოიხილა ეროვნულ და საერთაშორისო ტყესთან დაკავშირებულ პრინციპებზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის განვითარება ბოლო ათწლეულების მანძილზე, ასევე, გააგრძელა გამოცდილების გაზიარებით, რომელიც შეეხებოდა პოლონეთში „სატყეო მონაცემთა ბანკის“ განვითარებას და არსებულ ბიზნეს პროცესებს ტყის მონიტორინგთან დაკავშირებული კანონიერი სტანდარტების შესახებ, მათ შორის მონაცემთა ანალიზი, გამომცემლობა/პუბლიკაცია და ანგარიშგება (რეპორტირება).

## 6. ეროვნული C&I-ის ნუსხები – შესაბამისი ინფორმაციის ადეკვატური წარმოჩინება

ქ. სტეფანი ლინსერმა, ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტიდან მოწვეულმა ექსპერტმა, წარმოადგინა და მიმოიხილა ხუთი ნაბიჯი ტყის მდგრადი მართვის დაწყებიდან ანგარიშგებამდე: ეროვნული ურთიერთგაგების მემორანდუმი; დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობრივი პროცესი; შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის მონიტორინგი; შეგროვებულ მონაცემებზე და ინფორმაციაზე ანგარიშგება და ტყის მდგრადი მართვის შეფასება ხელმისაწვდომ (არსებულ) მონაცემებზე დაყრდნობით. მან, ასევე მიმოიხილა არსებული საწყისი/საბაზისო დოკუმენტაცია, მეთოდები, სტანდარტები, არსებული ტერმინები და განმარტებები „ევროპის ტყეების“ მინისტერიალის ეგიდით შემუშავებული C&I-ის ნუსხის ფარგლებში. შემდეგ, თავის პრეზენტაციაში, სტეფანიმ დეტალურად ახსნა თუ როგორ შეიძლება იყოს ეროვნული C&I-ის ნუსხა პირდაპირ კავშირში ეროვნულ მიზნებსა და ამოცანებთან ავსტრიის მაგალითზე. მან ასევე წარმოადგინა კვლევის შედეგები, რომელიც შეეხებოდა „როგორ და რატომ შეცვალა C&I-ბმა ტყის მდგრადი მართვა ბოლო 25 წელიწადში“, მიმოიხილა კვლევის მეთოდები, ასევე, რეგიონალური და საერთაშორისო პროცესების საერთო მიღწევები, მათ შორის C&I-ის განხორციელების წარმატების ფაქტორები.

## 4. სამუშაო ჯგუფის შედეგები თანმიმდევრობასა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე

პირველ რიგში, სამუშაო ჯგუფი ფოკუსირდა ხარვეზებისა და თანმიმდევრობის გაუმჯობესებაზე, რომელსაც მოყვა სავარჯიშოები საკანონმდებლო, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებული ინდიკატორების მორგებასთან დაკავშირებით. ასევე, სავარჯიშოები შეეხო ეროვნული C&I-ის კრიტიკულ მიმოხილვას, სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს შორის გადაფარვის აცილების ან მინიმიაზაციის მიზნით. შედეგად, მოხდა იდენტიფიცირებული ინდიკატორების ფორმულირება C&I-ის პრაქტიკულობის გაუმჯობესების მიზნით და მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიისა და საინფორმაციო ფურცლების განვითარების ხელშესაწყობად.



**ჯგუფი 1. (ეკოლოგიური)**

არსებული ინდიკატორი	განახლებული ინდიკატორი ან რეკომენდაცია გადამოწმებისთვის	გთხოვთ განმარტოთ ცვლილებები
დარგული ტყის ფართობი	ბუნებრივი და დარგული ტყის პროპორცია და ფართობი	შეესაბამება FE 4.3. - "ტყე და ტყის ფართობი ბუნებრივობის კლასის მიხედვით"
სატყეო სექტორის წვლილი მთლიან ენერგეტიკულ ბალანსში	გადავიდეს ეკონომიკურ ინდიკატორად	ადმინისტრირება ხდება ეკონომიკის სამინისტროში
დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის ზონაში შესული ტყის დადგენილი ფართობი	მოხდეს გამიჯვნა. ალტერნატიული ინდიკატორები: ა) დაცული ტერიტორიების ტყის ფართობი ბ) დაცული ტყეები გ) ზურმუხტის ქსელში მოქცეული ტყეები	ამავე დროს, გამოყოფა იძლევა მონაცემთა შეგროვების უფრო ადვილ საშუალებას
ჰაბიტატი ხეების გავრცელება	ალტერნატივები: ა) ჰეპატიტის ხეების ფართობი ჰექტარი ბ) ჰაბიტატი ხეების პროპორცია პროცენტებში	ინდიკატორი უნდა იყოს გაზომვადი

**ჯგუფი 2. (ეკონომიკური)**

არსებული ინდიკატორი	განახლებული ინდიკატორი ან რეკომენდაცია გადამოწმებისთვის	გთხოვთ განმარტოთ ცვლილებები
კანონიერი ჭრით მოპოვებული მერქანი კლასიფიცირებული ჯიშის და ხარისხის მიხედვით	ხის მერქნის მატება და კარგვა კლასიფიცირებული ჯიშის, მოცულობისა და ხარისხის მიხედვით	1. უფრო შეესაბამება "ევროპის ტყეს" 3.1& 3.2 2. ასევე მონაცემი უკანონოდ მოჭრილი ხის რაოდენობაზე 3. კანონიერი ჭრის მონაცემი მაინც აღირიცხება
ტყის არამერქნული პროდუქტებით არამდგრადი კომერციული სარგებლობის შედეგად ტყის ეკოსისტემებისთვის	ალტერნატივები: 1. შემოსავლები ტყის არამერქნული პროდუქციიდან 2. რაოდენობა და საბაზრო ღირებულება	ალტერნატიული ინდიკატორები უფრო შეესაბამება „ევროპის ტყის“ ინდიკატორებს. გარდა ამისა უნდა იყოს ქვეყანაში არსებული რეგულაცია ტყის არამერქნული

მიყენებული ზიანი (დაბალი, საშუალო, მაღალი)	3. რეგულაცია	პროდუქტის მოპოვების შესახებ, ლეგალური გამოყენების მექანიზმი, მათ შორის კვოტები დადგენილი ტყის მართვის ორგანოების მიერ
--	--------------	---

**ჯგუფი 3. (სოციალური)**

არსებული ინდიკატორი	განახლებული ინდიკატორი ან რეკომენდაცია გადამოწმებისთვის	გთხოვთ განმარტოთ ცვლილებები
ტყის სექტორში სხვადასხვა დონეზე (ცენტრალური, რეგიონული, რაიონული) დასაქმებული პირები კლასიფიცირებული გენდერისა და საქმიანობის კატეგორიის მიხედვით	ტყის სექტორში დასაქმებული პირები შემდეგი კლასიფიკაციით: - სქესი - ასაკი - სამუშაოს კატეგორია	შეესაბამება „ევროპის ტყის“ 6.5 ინდიკატორს. უმჯობესია გამარტივდეს და შემოკლდეს ფორმულირება, რადგან ყველა ინდიკატორს ექნება თავის განმარტება/სრული ტექსტი შემდეგ.
ფატალური და არა-ფატალური პროფესიული უბედური შემთხვევები და დაავადებები, რომლებიც კლასიფიცირდება შემთხვევის ტიპის და დონის მიხედვით	ალტერნატივა: უბედური შემთხვევები და პროფესიული დაავადებები; უბედური შემთხვევების რაოდენობა (N) და % შემთხვევებისა და სამუშაოს ტიპის კლასიფიცირების მიხედვით.	ტექსტი ძალიან გრძელია. უმჯობესია შესწორდეს მთლიანი ტექსტი / ინდიკატორის დახასიათება. შეესაბამება „ევროპის ტყის“ 6.6 ინდიკატორს
შექმნილია შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ტყიანი ტერიტორიების ახლოს მცხოვრები სოფლის მოსახლეობისთვის	შესაძლებელია გადავიდეს ეკონომიკური პრინციპის ქვეშ	საჭიროებს ეკონომისტებთან კონსულტაციას

**ჯგუფი 4. (საკანონმდებლო, პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩო)**

არსებული ინდიკატორი	განახლებული ინდიკატორი ან რეკომენდაცია გადამოწმებისთვის	გთხოვთ განმარტოთ ცვლილებები
ტყის მდგრადი მართვის მხარდამჭერი ეროვნული პოლიტიკა (სატყეო კონცეფცია) დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ	ეროვნული სატყეო პოლიტიკა (ეროვნული სატყეო კონცეფცია)	შემცირდეს ტექსტი

ეროვნულ სატყეო კონცეფციაზე დაფუძნებული სატყეო სექტორის სტრატეგია გათვალისწინებულია ეროვნულ გარემოსდაცვით სამოქმედო პროგრამაში და დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ	სატყეო სექტორის სტრატეგია და მოქმედება	შემცირდეს ტექსტი
ტყის მდგრადი მართვის ეროვნული პრინციპები გათვალისწინებულია ტყის კოდექსში, რომელიც უნდა დამტკიცდეს პარლამენტის მიერ	ტყის მდგრადი მართვის პრინციპები ასახულია სატყეო კანონმდებლობაში	შემცირდეს ტექსტი
სატყეო სექტორის პოლიტიკური, სტრატეგიული და სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებისა და მონიტორინგის ეფექტური ინსტიტუტი & საქართველოს ტყეების მდგრადი მართვის ეფექტური ინსტიტუტები & ტყის მართვის და ტყის მერქნული და არამერქნული პროდუქტებით ვაჭრობის ზედამხედველობის ეფექტური ინსტიტუტები	19.5. ფუნქციურად გამიჯნული მდგრადი ინსტიტუციური ჩარჩო	შემცირდეს ტექსტი; ერთ ინდიკატორად ჩამოყალიბება
ტყის ეროვნული მონიტორინგის და ანგარიშგების სამართლებრივად დამტკიცებული და მეცნიერულად გამართლებული პროცესი (საქართველოს ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია)	სრული ინფორმაცია ტყეების შესახებ; ალტერნატივა: ეროვნული ტყის ინვენტარიზაცია	გამარტივდეს და შემცირდეს ტექსტი
ცალკეული სატყეო უბნებისთვის 10 წლიანი გეგმების შესამუშავებლად ტყის მართვის დონის ინვენტარიზაციის / ტაქსაციის სამართლებრივად დამტკიცებული მეთოდოლოგია	ტყეზე ინფორმაციის სტანდარტული განახლება; კანონიერი ტყის მართვის გეგმები	გამარტივდეს და შემცირდეს ტექსტი.
ინტერნეტის გამოყენებით საჯარო ინფორმაციაზე წვდომა ტყის მონიტორინგის შესახებ	ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი / პორტალი	გამარტივდეს და შემცირდეს ტექსტი.
ეფექტური საჯარო საინფორმაციო სისტემა ტყის მდგრადი მართვის შესახებ საქართველოში	ყოველწლიური ეროვნული პუბლიკაციები ტყის მდგრადი მართვის შესახებ საქართველოში	გამარტივდეს და შემცირდეს ტექსტი. გამოკვეთილი იყოს ინდიკატორი

## 5. სამუშაო ჯგუფების შედეგები მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიასა და საინფორმაციო ფურცლების განვითარებაზე

სავარჯიშოს დროს, ჯგუფებმა წარმოადგინეს განმარტებები და შეიმუშავეს მონაცემთა შეგროვების გზები თითოეული ინდიკატორის გარშემო, საინფორმაციო ფურცლების სრულყოფის მიზნით. ჯგუფის შედეგები შეფასდა სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: არის თუ არა ლოგიკური დასაბუთება მკაფიოდ ჩამოყალიბებული? უკავშირდება თუ არა ინდიკატორი რომელიმე პოლიტიკურად განსაზღვრულ მიზანს ან ამოცანას? არის თუ არა ინსტიტუციური როლები მკაფიოდ განსაზღვრული?

### ჯგუფი 1. (ეკოლოგიური)

კრიტერიუმი No.2: ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და გაუმჯობესება	
ინდიკატორი: 2.3. გავრცელებული ხის სახეობები	<p><b>ინდიკატორის მოკლე დასახელება:</b></p> <p>ხის სახეობების მრავალფეროვნება</p> <p><b>ინდიკატორის სრული ტექსტი:</b></p> <p>ტყის ფართობი კლასიფიცირებული ხის სახეობების რაოდენობის მიხედვით</p>
<p><b>ლოგიკური განმარტება:</b> რა იქნება ამ ინდიკატორის შესახებ ინფორმაციის შემუშავების მიზანი? როგორ იქნება ეს ინფორმაცია გამოყენებული ტყის მდგრადი მართვის გასაუმჯობესებლად?</p> <p>ინდიკატორი იძლევა ინფორმაციას ტყეების მნიშვნელობაზე, სხვადასხვა ტყის სახეობების მრავალფეროვნებაზე (მცენარეები, მწერები, სოკოები) დამოკიდებული ხის ჯიშების ნაირსახეობაზე, სტრუქტურასა და ხნოვანებაზე. ზოგადად მრავალრიცხოვანი ჯიშების ტყეები უფრო მრავალფეროვანია ვიდრე ერთი ხის ჯიშის მქონე ტყეები.</p> <p>კავშირშია შემდეგ ინდიკატორებთან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ტყის მთლიანი ფართობი</li> <li>2. ტყის ტერიტორიის წილი ქვეყნის მთლიანი ფართობიდან</li> <li>3. მერქნული რესურსისათვის ხელმისაწვდომი ტყის ფართობი = სამეურნეო ტყე</li> <li>4. დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტყის ფართობი (ზურმუხტის ქსელის საიტების ჩათვლით)</li> <li>5. პირველადი ტყის ფართობი = ხელუხლებელი ტყე</li> <li>6. ბუნებრივი განახლებით უზრუნველყოფილი ტყის ფართობი</li> <li>7. ენდემური ხის სახეობები</li> <li>8. საფრთხის ქვეშ მყოფი ხის სახეობები / წითელი ნუსხის ხის სახეობები</li> <li>9. ტყის კორომების სტრუქტურა კლასიფიცირებული იარუსების რაოდენობის (ვერტიკალური სტრუქტურა) და ხის ღეროების განაწილების (ჰორიზონტალური სტრუქტურა) მიხედვით</li> </ol>	
<p><b>მონაცემთა წყაროები და მომწოდებლები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეროვნული სატყეო სააგენტო</li> <li>• დაცული ტერიტორიების სააგენტო</li> <li>• ახმეტის მუნიციპალიტეტი (ტყის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანო)</li> <li>• აჭარის სატყეო სააგენტო</li> <li>• თბილისის მუნიციპალიტეტი</li> </ul>	

<ul style="list-style-type: none"> <li>• ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი (<a href="https://atlas.mepa.gov.ge/">https://atlas.mepa.gov.ge/</a>)</li> <li>• ილიას უნივერსიტეტი/ არასამთავრობოები</li> </ul>	
<b>საზომი ერთეული და საჭირო გაზომვის სიხშირე:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხის სახეობების რაოდენობა</li> <li>• ფართობი (ჰა)</li> <li>• მოცულობა მ3</li> <li>• სიხშირე</li> <li>• განახლების პოტენციალი - მოცულობა/ჰა</li> </ul>	
<b>შენიშვნები ანგარიშგებისთვის (მაგ. ცალკეულ მაჩვენებლებზე):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოცულობა/ჰა</li> <li>• ცვლილებები გაბატონებული სახეობების გავრცელება / ტენდენციაში</li> <li>• ტყის პროდუქტიულობა (ბონიტეტი)</li> </ul>	
<b>პოლიტიკური მიზნები და/ან ამოცანები აღნიშნული ინდიკატორისთვის (შეიძლება იყოს დროში განსაზღვრული):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასება ყოველ 10 წელიწადში;</li> <li>• საჭიროებისამებრ, მონიტორინგი შემოკლებული ვადით.</li> </ul>	
<b>ინსტიტუციური როლები და პასუხისმგებლობა: რომელი ინსტიტუციები შეაგროვებს, გამოიყენებს და მართავს მონაცემებს? შეეცადეთ უპასუხოთ არსებული გათვალისწინებით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეროვნული სატყეო სააგენტო (განხორციელება);</li> <li>• დაცული ტერიტორიების სააგენტო (განხორციელება);</li> <li>• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ბიომრავალფეროვნების და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი (პასუხისმგებლობა: საზოგადოების წვდომა მონაცემებზე; მონაცემთა ანალიზი; ანგარიშგება; ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი - <a href="https://atlas.mepa.gov.ge">https://atlas.mepa.gov.ge</a>)</li> </ul>	
<b>მსგავსი განმარტებები ხელმისაწვდომია „ევროპის ტყის“ ტერმინოლოგიაში:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხის სახეობების მრავალფეროვნება - ტყიანი ტერიტორიები კლასიფიცირებული არსებული ხის სახეობების რაოდენობის მიხედვით</li> <li>• რეგენერაცია - მთლიანი ტყის ტერიტორია კლასიფიცირებული კორომების წარმომავლობის და ტყის წლიური რეგენერაციის და ექსპანსიის ფართობის მიხედვით;</li> <li>• ბუნებრივობა - ტყიანი ტერიტორია, კლასიფიცირებული ბუნებრივობის ტიპების მიხედვით</li> <li>• ტყის საფრთხეში მყოფი სახეობები - ტყის საფრთხეში მყოფი სახეობების რაოდენობა, IUCN -ის წითელი ნუსხის კატეგორიების მიხედვით კლასიფიცირებული, ტყის სახეობების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით;</li> <li>• მოზარდი მარაგი - ტყეებში და ტყიან ტერიტორიებზე არსებული მერქნის მარაგი, კლასიფიცირებული ტყის ტიპებისა და მერქნის მარაგის ხელმისაწვდომობის მიხედვით.</li> </ul>	<b>ტერმინები, რომელსაც ჭირდება განმარტება</b>
<b>გამოწვევები მონაცემთა ხელმისაწვდომობასა და ინდიკატორის შესახებ ანგარიშგების კუთხით:</b> მონაცემთა შეგროვება ტყის ინვენტარიზაციის გარეშე არის დიდი გამოწვევა. გარდა ამისა მონაცემი ყოველთვის ზუსტია ტყის ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ.	
<b>რეკომენდაციები გამოწვევების მისამართით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანმიმდევრული ტყის აღრიცხვა და მართვის გეგმების შემუშავება;</li> <li>• შესაძლებლობები სრულყოფილი მონაცემთა ანალიზისთვის</li> <li>• ტყითსარგებლობის შესახებ დეტალური ანგარიშგების წარმოება</li> </ul>	

**ჯგუფი 2. (ეკონომიკური)**

კრიტერიუმი No.8: სატყეო სექტორის წვლილის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკაში	
<p><b>ინდიკატორი: 8.1.</b> . სატყეო სექტორის წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) კლასიფიცირებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მერქნული პროდუქტი;</li> <li>• ტყის არამერქნული პროდუქტი;</li> <li>• სხვა შემოსავლიანი სერვისი.</li> </ul>	<p><b>ინდიკატორი მოკლე დასახელება:</b></p> <p>სატყეო სექტორის მშპ</p> <p><b>ინდიკატორის სრული დასახელება:</b></p> <p>სატყეო სექტორისა და ხე-ტყის წარმოების, მათ შორის ტყის არამერქნული პროდუქტის წვლილი მშპ-ში.</p>
<p><b>ლოგიკური განმარტება:</b> რა იქნება ამ ინდიკატორის შესახებ ინფორმაციის შემუშავების მიზანი? როგორ იქნება ეს ინფორმაცია გამოყენებული ტყის მდგრადი მართვის გასაუმჯობესებლად?</p> <p>აღნიშნული ინდიკატორი ხელს უწყობს ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის შეფასებას, გადაწყვეტილებების მიღებას ეკონომიკასა და სატყეო სექტორში, ასევე გამოხატავს მის წვლილს მდგრადი განვითარების პროცესში.</p>	
<p><b>მონაცემთა წყაროები და მომწოდებლები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტყის მართვის ყველა ორგანო:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ ეროვნული სატყეო სააგენტო</li> <li>○ დაცული ტერიტორიების სააგენტო</li> <li>○ ახმეტის მუნიციპალიტეტი (ტყის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანო)</li> <li>○ აჭარის სატყეო სააგენტო</li> <li>○ თბილისის მუნიციპალიტეტი</li> </ul> </li> <li>• ფინანსთა სამინისტრო;</li> <li>• ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;</li> <li>• საქსტატი;</li> </ul>	
<p><b>საზომი ერთეული და საჭირო გაზომვის სიხშირე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ლ/წ.;</li> <li>• %/წ.;</li> <li>• ფართობი (ჰა)</li> </ul>	
<p><b>შენიშვნები ანგარიშგებისთვის (მაგ. ცალკეულ მაჩვენებლებზე):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოცულობა/ჰა</li> <li>• ცვლილებები გაბატონებული სახეობების გავრცელება/ტენდენციაში</li> <li>• ტყის პროდუქტიულობა (ბონიტეტი)</li> </ul>	
<p><b>პოლიტიკური მიზნები და/ან ამოცანები აღნიშნული ინდიკატორისთვის (შეიძლება იყოს დროში განსაზღვრული):</b></p> <p>ეროვნული სატყეო კონცეფცია, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) - მუხლი 233.</p>	
<p><b>ინსტიტუციური როლები და პასუხისმგებლობა: რომელი ინსტიტუციები შეაგროვებს, გამოიყენებს და მართავს მონაცემებს? შეეცადეთ უპასუხოთ არსებული გათვალისწინებით:</b></p>	



<p>მონაცემთა მმართველი: საქსტატი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ტყის მართვის ორგანოები; ფინანსთა სამინისტრო;</p> <p>მონაცემთა მომხმარებლები: სამინისტროები; მუნიციპალიტეტები; კერძო სექტორი; არასამთავრობო ორგანიზაციები; სამეცნიერო საზოგადოება; ეროვნული / საერთაშორისო ანგარიშგება</p>	
<p><b>მსგავსი განმარტებები ხელმისაწვდომია „ევროპის ტყის“ ტერმინოლოგიაში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სატყეო სექტორის წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში – მეტყევეობისა და მერქნისა და ქალაქის პროდუქტების წარმოების შენატანი მთლიან შიდა პროდუქტში</li> <li>• წმინდა შემოსავალი – სატყეო საწარმოების წმინდა შემოსავალი</li> <li>• ინვესტიცია ტყეებსა და მეტყევეობაში – ტყეებსა და მეტყევეობაში საჯარო და კერძო ინვესტიციების მთლიანი რაოდენობა</li> <li>• ხე-ტყის მოხმარება – ერთ სულ მოსახლეზე მერქნისა და მერქნული პროდუქტების მოხმარება;</li> <li>• მერქნული ენერჯია – მთლიან ენერჯიის მოხმარებაში მერქნული ენერჯიის წილი, კლასიფიცირებული მერქნის წარმომავლობის მიხედვით;</li> <li>• მერქნით ვაჭრობა – მერქნისა და მერქნული პროდუქტების იმპორტი და ექსპორტი;</li> <li>• მრგვალი ხე-ტყე – მრგვალი ხე-ტყის რაოდენობა და საბაზრო ღირებულება;</li> <li>• არამერქნული პროდუქტები – ტყეებსა და სხვა ტყიან ტერიტორიებზე არამერქნული პროდუქტების რაოდენობა და საბაზრო ღირებულება</li> <li>• სერვისები – ტყეებსა და ტყიან ტერიტორიებზე კომერციული სერვისების ღირებულება</li> </ul>	<p><b>ტერმინები, რომელსაც ჭირდება განმარტება:</b></p>
<p><b>გამოწვევები მონაცემთა ხელმისაწვდომობასა და ინდიკატორის შესახებ ანგარიშგების კუთხით:</b></p> <p>სატყეო სექტორის წილი არ არის ცალკე აღრიცხული. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ინდიკატორის შეფასება. 2014 წელს მშპ-ში წილი იყო 8%, მაგრამ ეს გამოითვალა სოფლის მეურნეობის ჩათვლით.</p>	
<p><b>შენიშვნები ანგარიშგებისთვის (მაგ. ცალკეულ მაჩვენებლებზე):</b></p> <p>საწყის ეტაპზე - შეფასდეს საერთო სარგებელი. გაიმიჯნოს სატყეო სექტორი და განისაზღვროს შესაძლებლობები რომ გამოითვალოს და შეფასდეს ეს ინდიკატორი.</p>	

### ჯგუფი 3. (სოციალური)

<p><b>კრიტერიუმი No.15: ტყესთან ახლოს მცხოვრები სოფლის მოსახლეობისთვის შემოსავლის მიღების შესაძლებლობა</b></p>	
<p><b>Indicator: 15.3.</b> ტყესთან მიმდებარე სოფლის მოსახლეობის სარგებელი ტურიზმიდან</p>	<p><b>ინდიკატორი მოკლე დასახელება:</b> ტურიზმის განვითარება</p> <p><b>ინდიკატორი სრული დასახელება:</b> ტყესთან მიმდებარე სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გაზრდის მიზნით ტყეების გამოყენება რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარებისთვის.</p>

**ლოგიკური განმარტება:** რა იქნება ამ ინდიკატორის შესახებ ინფორმაციის შემუშავების მიზანი? როგორ იქნება ეს ინფორმაცია გამოყენებული ტყის მდგრადი მართვის გასაუმჯობესებლად?

ეს ინდიკატორი ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთ შეფასებას და პრობლემების გადაჭრის გზების დაგეგმვას. გარდა ამისა, რეკრეაციული ზონების და ტურიზმის განვითარებისთვის ტყეების გამოყენება შექმნის ალტერნატიული შემოსავლის შესაძლებლობას და შეამცირებს ხე-ტყის რესურსებზე დამოკიდებულებას.

**მონაცემთა წყაროები და მომწოდებლები:**

- ადგილობრივი მთავრობები;
- ტურიზმის დეპარტამენტი;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ეროვნული სატყეო სააგენტო;
- აჭარის სატყეო სააგენტო;
- კვლევითი ორგანიზაციები.

**საზომი ერთეული და საჭირო გაზომვის სიხშირე:**

ხარისხობრივი:

- სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ტყეების ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაუმჯობესება;
- ტყის რესურსების გამოყენება მხოლოდ ადგილობრივების მიერ.

**შენიშვნები ანგარიშგებისთვის (მაგ. ცალკეულ მაჩვენებლებზე):**

**პოლიტიკური მიზნები და/ან ამოცანები აღნიშნული ინდიკატორისთვის (შეიძლება იყოს დროში განსაზღვრული):**

- კერძო ინვესტიციების მობილიზება;
- სხვა ქვეყნების პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება.

**ინსტიტუციური როლები და პასუხისმგებლობა: რომელი ინსტიტუციები შეაგროვებს, გამოიყენებს და მართავს მონაცემებს? შეეცადეთ უპასუხოდ არსებული გათვალისწინებით.**

- ადგილობრივი მთავრობები;
- ეროვნული სატყეო სააგენტო (განხორციელება);
- დაცული ტერიტორიების სააგენტო (განხორციელება);
- კერძო სექტორი;
- კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

**მსგავსი განმარტებები ხელმისაწვდომია „ევროპის ტყის“ ტერმინოლოგიაში:**

- რეკრეაცია ტყეებში – ტყეებისა და სხვა ტყიანი ტერიტორიების რეკრეაციული მიზნით გამოყენება, ხელმისაწვდომობის, შესაძლებლობების უზრუნველყოფის და გამოყენების ინტენსიურობის თვალსაზრისით
